



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალდაბის განძი

ახალდაბის განძი - XVI ს. დასაწყ. ოსმალური ვერცხლის მონეტები (4 ც. ახჩა), ნაპოვნი 1952, ტაშისკარის არხის მშენებლობის დროს დაბა ახალდაბის (ბორჯომის მუნიციპ.) მახლობლად. მონეტები დათარიღებულია პირით 918 (1512) და მოქრიღია ოსმ. სულთნის სელიმ I-ის (1512-20) სახელით. ეს ახჩა საქართვ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ოსმ. მონეტებია. ა. გ. დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჭანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ა ნ თ ა ძ ე მ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, თბ., 1982.

მ. ანთაძე